დამოწმებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განცხ. რეგისტრაციის № 882012096531.

ქონების გადამცემის მიერ ჯეროვნადაა შესრულებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მე-2 მუხლით დადგენილი ვალდებულება და მის მიერ სრულად არის გადახდილი საპრივატიზებო ფასი, რასაც ადასტურებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 17 აპრილის № 13/8217 წერილი.

ქონების მიმღები წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია და იზიარებს 2012 წლის 07 მარტს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ააიპ "ქვემო თელეთი 2009"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილ განსაკუთრებულ პირობებს.

## 5. ხელშეკრულების საგნის გადაცემა

ქონების მიმღებისათვის „ხელშეკრულების საგნის" საკუთრებაში გადაცემა მოხდება საჯარო რეესტრში ქონების მიმღების მესაკუთრედ რეგისტრაციისთანავე.

## 6. მხარეთა უფლება მოვალეობები

6.1. ქონების მიმღები ვალდებულია:

6.1.1 განახორციელოს თუ ხელშეკრულების საგანზე - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე გაცემულია ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზია, ჭაბურღილებთან, აგრეთვე კანონმდებლობის შესაბამისად ჭაბურღილების ექსპლუატაციისათვის საჭირო ფართობთან ნავთობისა და გაზის რესურსების გენერალური ლიცენზიის მფლობელის შეუზღუდავად მისვლისა და მის მიერ ლიცენზიით სარგებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სარგებლობის უზრუნველყოფა.

6.1.2. არ განახორციელოს ღონისძიებები, რომელიც გამოიწვევს ნავთობისა და გაზის რესურსების გენერალური ლიცენზიის მფლობელისათვის ლიცენზიის პირობების შესრულებაში ხელშეშლას.

6.2. ხელშეკრულების 6.1. და 6.2. შეუსრულებლობა გამოიწვევს ხელშეკრულების უპირობოდ შეწყვეტას და მყიდველის მიერ ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების დაკარგვას.

6.3. ხელშეკრულების 6.1.1. და 6.1.2. ვალდებულებები რეგისტრირებულ იქნება საჯარო რეესტრში, თანახმად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ააიპ „ქვემო თელეთი 2009"-ს 2012 წლის 7 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების 3.1.3 და 3.1.4 მუხლებისა და თანახმად სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 17 ოქტომბრის № 4/1468 წერილისა.

## 7. დავათა გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა შეიძლება გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადაწყვეტისათვის მოსარჩელე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს. დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

"უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება

დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1.2. ქონების გადამცემი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ქვემო თელეთი 2009" წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ზესიკო ფარდიაშვილის სახით 2012 წლის 07 მარტს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ააიპ "ქვემო თელეთი 2009"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების (დამოწმებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განცხ. რეგისტრაციის № 882012096531) 3.1.2. მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების მიზნით გადასცემს უძრავ ნივთს – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 5000.00 კვ.მ. მდებარე მისამართზე: გარდაბანი, სოფ. თელეთი, რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „ხელშეკრულების საგანი".
ხოლო ქონების მიმღები იამზე ჯალიაშვილი იღებს უძრავ ნივთს – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 5000.00 კვ.მ. მდებარე მისამართზე: გარდაბანი, სოფ. თელეთი, რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „ხელშეკრულების საგანი".

2. ხელშეკრულების საგანის მახასიათებელი

1. ნასყიდობის საგნის მახასიათებლებია:

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
| --- | --- | --- | --- |
| გარდაბანი | თელეთი | | |
| 81 | 03 | 08 | 709 |

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 5000.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 81.03.08.375

3. მესაკუთრე

3.1. ხელშეკრულების საგანი საკუთრების უფლებით ეკუთვნის ქონების გადამცემს-არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს "ქვემო თელეთი 2009", რაც დასტურდება ამონაწერით მომზადებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 81.03.08.709 განცხადების რეგისტრაცია №882012235593

4. ხელშეკრულების საგნის ფასი

მხარეთა განცხადებით „ხელშეკრულების საგნის" ქონების მიმღებისათვის გადაცემა ხდება უსასყიდლოდ, თანახმად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ააიპ "ქვემო თელეთი 2009"-ს შორის 2012 წლის 07 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებისა,